დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„მხატვრული კერამიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

დასკვნის წარდგენის თარიღი

17.06. 2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება 18

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 24

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა 28

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი 37

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851545
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	პროფესორი იორგ ობერგფელი, ტრიერი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ ჩხეიძე, ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა ჯაფარიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მირანდა ნონიკაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად):	მხატვრული კერამიკა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად):	Ceramic Arts
უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ კერამიკაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0214.1.2 მხატვრული კერამიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არა–აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	მოთხოვნები მაგისტრის ხარისხის მისანიჭებლად: სრული სამაგისტრო კურსის წარმატებით გასავლელად და საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად, სტუდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პროგრამაზე მისაღები დამატებითი მოთხოვნები: ბაკალავრის ხარისხი, პორტფოლიო, გასაუბრება, გამოცდა სპეციალური კომპონენტში და უცხო ენაში (დონე B2). პროგრამაში ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის თსსა ვებგვერდის www.art.edu.ge საშუალებით. ასევე მოქმედებს ცხელი ხაზი. საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ კერამიკაში (MFA). კერძოდ, ამ მიღწევის აღიარებით, კურსდამთავრებულს გადაეცემა სახელმწიფო დიპლომი, რომელიც ადასტურებს მის ოსტატობას კერამიკული ხელოვნების სფეროში.

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

საქართველოში დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება/ხელნაკეთობა გამოირჩევა მდიდარი ტრადიციით, რომელსაც ხანგრძლივი ისტორიული პრაქტიკა და მეთოდოლოგია აქვს და რომლის დახვეწაც ხდებოდა სსრკ-ს პროფესიული სასწავლებლების ფარგლებში. ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ,,მხატვრული კერამიკა" შექმნილია ამ მემკვიდრეობის საფუძველზე და, ამავდროულად, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ინოვაციას ისტორიული ცოდნისა და თანამედროვე ტექნიკის სინთეზის გზით. იგი ხაზს უსვამს სფეროს ყოვლისმომცველ გაგებას, რომელიც მოიცავს როგორც ტრადიციულ პრაქტიკებს, ასევე ბოლოდროინდელ მიღწევებს.

2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში შემუშავებული სამაგისტრო პროგრამა პასუხობს საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უმაღლესი სასწავლებლების), მათ შორის ბელორუსიის, აზერბაიჯანის, გერმანიის, უნგრეთის და ჩეხეთის რესპუბლიკის, ქართული ხელოვნებისადმი მზარდ ინტერესს. ინგლისურ ენაზე სწავლების შეთავაზებით (აუცილებელი დონეა B"), პროგრამა ცდილობს ჩაერთოს გლობალურ საგანმანათლებლო საზოგადოებაში, რაც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სტუდენტების პროფესიული ზრდისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებს. პროგრამა ღიაა სხვადასხვა დისციპლინის კურსდამთავრებულებისთვის და მიზნად ისახავს წაახალისოს ინტერდისციპლინური თანამშრომლობა, განსაკუთრებით არქიტექტურასთან, თუმცა ამჟამად არ არის შემოთავაზებული ინტერდისციპლინური კურსები.

დაახლოებით ხუთი სტუდენტის მიზნობრივი ჩარიცხვით, პროგრამა გვპირდება ექსკლუზიურ, სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გამოცდილებას კარგად აღჭურვილი სახელოსნოების ფარგლებში. სამაგისტრო დონის სწავლების შესაბამისად, სასწავლო პროგრამა აერთიანებს კვლევის კომპონენტებს, რომლებიც მიზნად ისახავს კერამიკული ხელოვნების სფეროს ტექნიკის დახვეწასა და კონცეპტუალური გაგების გაუმჯობესებას. მხატვრული კრეატიულობის, ესთეტიკური მგრძნობელობისა და უტილიტარული ფუნქციონალურობის დაბალანსებით, პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შერწყმას თანამედროვე ტენდენციებთან, მათ შორის დიგიტალიზაციასთან, რათა ყავდესკურსდამთავრებულები, რომლებიც აკმაყოფილებენ შრომის ბაზარზე ხელნაკეთ, ტაქტილურ ნამუშევრებსა და დიზაინერულ ობიექტებზე მზარდ მოთხოვნას.

დაგეგმილი ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევა მიზნად ისახავს პერსპექტივების დივერსიფიკაციას და კულტურათაშორისი გაცვლის ხელშეწყობას. თუმცა, დღემდე, პროგრამას დადებული აქვს მხოლოდ ერთი ურთიერთგაგების მემორანდუმი (Memorandum of Understanding) (MOU) ლატვიის სამხატვრო აკადემიასთან, რიგაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2024 წლის 19 მარტს, აკრედიტაციის ჯგუფის ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტებმა დაათვალიერეს კერამიკული სტუდიები, ხატვის სტუდიები, საგამოფენო სივრცე და ბიბლიოთეკა.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

აკრედიტაციის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მოსამზადებელი შეხვედრა გამართა ზუმის საშუალებით, სადაც დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ერთმანეთს წინასწარი დასკვნები გაუზიარეს, ასევე შეთანხმდნენ ექსპერტთა შორის დავალებების განაწილებაზე.

სახელოსნომ ცოცხალი შთაბეჭდილება დატოვა, სადაც სტუდენტები აქტიურად მუშაობდნენ დამოუკიდებლად. ახალ ღუმელებში ჩადებული უახლესი ინვესტიციები აჩვენებს უნივერსიტეტის ერთგულებას პროგრამის მიმართ.

შეხვედრები გაიმართა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, სხვადასხვა პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და დამსაქმებლები.

შეხვედრები თანამშრომლობით გარემოში მიმდინარეობდა, დაწესებულების წარმომადგენლები მზად იყვნენ დისკუსიებისთვის. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ექსპერტების მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის

მოკლე მიმოხილვა

- მხატვრული კერამიკის სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:

  - 1.1 პროგრამის მიზნები
  - 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
  - 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
  - 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
  - 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
  - 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები
  - 2.4. სტუდენტია შეფასება
  - 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები
  - 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
  - 4.1. ადამიანური რესურსები
  - 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია
  - 5.1. შიდა ხარისხის შეფასება
  - 5.2. გარე ხარისხის შეფასება
  - 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

  მხატვრული კერამიკის სამაგისტრო პროგრამა (Ceramics MA) არსებითად შეესაბამება შემდეგ სტანდარტებს:

  - 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
  - 1.5. სასწავლო კურსი/საგანი
  - 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
  - 4.4. მატერიალური რესურსები
  - 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

- **რეკომენდაციები**

  - 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

  - შეიმუშავეთ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ისეთი სამიზნე ნიშნულები და მეთოდები, რომლებიც უფრო მეტად შესაფერისი იქნება მცირე ჯგუფებისთვის.

  - 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

  რეკომენდებულია თანამედროვე ხელოვნების უფრო ზოგადი კურსების შეთავაზება.

- 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

  რეკომენდებულია სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.

  რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტი მოიცავდეს თანხებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის.

  - 4.4. მატერიალური რესურსები

  რეკომენდებულია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ინგლისურენოვანი ვერსიის შემუშავება და შესაბამისი სასწავლო მასალის ინგლისურ ენაზე უზრუნველყოფა.

- 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ შემოქმედებით საქმიანობასთან, მეცნიერულ/კვლევით საჭიროებებთან, უნდა იყოს გამოვლენილი და დოკუმენტირებული პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში.

გარდა ამისა, პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის ყველა წყარო, განმეორებადი თუ ერთჯერადი, მკაფიოდ უნდა იყოს დაფიქსირებული ბიუჯეტის დოკუმენტში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

  - 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

  სასურველია ინგლისური ენის სპეციალური კურსების შეთავაზება.

  - 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

  სასურველია შემუშავდეს სპეციფიკური ფორმატები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ ერთმანეთის ნამუშევრების გაანალიზებასა და კომენტირებას.

  მიზანშეწონილია შემოთავაზებული იყოს მეტი საერთაშორისო სემინარი და გაცვლის შესაძლებლობა.

  - 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

  სასურველია ენის ცოდნის დონის ამაღლება და ტექნიკური სისტემის გაუმჯობესება.

  - 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

  მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა და პერსონალის შეფასებების რეგულარულად ჩატარება.

  - 4.4. მატერიალური რესურსები

  სასურველია სტუდენტების მეტი მხარდაჭერა სამუშაო მასალების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

მოწვეული პროფესორის, პროფ. სენსერ სარის სახელმძღვანელო კერამიკისა და მინის ტექნოლოგიის შესახებ ხელოვნების განათლების სფეროში, გამოქვეყნებული თსსა-ს მიერ 2022 წელს.

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

ინსტიტუციამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია და შეცვალა მექანიზმი, მაშასადამე რეკომენდაცია შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ ამოიღებს, რადგან ცვლილებები განხორციელდა ვიზიტის შემდგომ პერიოდში.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია თანამედროვე კურსების შეთავაზებასთან დაკავშირებით დაწესებულების მხრიდან სრულად გაზიარებულია და დაწყებულია ამ საკითხზე მუშაობა. თუმცა, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა დაწყებულია ვიზიტის შემდგომ რეკომენდაცია უცვლელად რჩება.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია სრულად გაზიარებულია დაწესებულების მხრიდან და შესაბამისი დოკუმენტი განახლებულია. თუმცა, რადგან აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია ვიზიტის შემდგომ რეკომენდაცია უცვლელად რჩება.

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებას და წარმოადგინა ბიუჯეტის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს „საერთაშორისო და ადგილობრივ შემოქმედებით აქტივობას“.

- **ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიღწეული მიღწევების ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ,,მხატვრული კერამიკა" შექმნილია მხატვრული კერამიკის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩამოსაყალიბებლად, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან როგორც პრაქტიკული, მხატვრული შემოქმედებითი, ასევე ფუნდამენტური ტექნოლოგიური კვლევითი უნარ–ჩვევებით კერამიკულ ხელოვნებასა და ინტერდისციპლინურ სფეროებში. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, უმაღლესი განათლების საფეხურს და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომლის ჩამოყალიბებასაც მიზნად ისახავს პროგრამა. ისინი მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა მიზნად ისახავს კონცეპტუალური თანმიმდევრულობის, იდეების ზუსტი გააზრებისა და მათი შემდგომი განვითარებისა და შესრულების ხელშეწყობას. აქცენტი კეთდება კომპლექსური საკითხების გადაჭრის

ინოვაციური და ორიგინალური მიდგომების კულტივირებაზე თითოეულ უნიკალურ შემთხვევაზე მორგებული ადაპტირებადი მეთოდოლოგიების მეშვეობით. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს მისცეს ცოდნა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას დოქტორანტურის საფეხურზე, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს გახდნენ დარგის წარმატებული მკვლევრები და ინოვატორები, რომლებიც ფლობენ თეორიულ ცონდასა და პრაქტიკულ უნარებს, იცნობენ სწავლების მეთოდოლოგიას და შეუძლიათ შემოქმედებითი რესურსების გამოყენება. სასწავლო პროგრამა ვითარდება სამ პროგრესულ ეტაპად, თითოეული ეფუძნება წინა ეტაპს და ხელს უწყობს სირთულის მზარდ დონეს და შემოქმედებით დამოუკიდებლობას:

1. პირველი ეტაპი ფოკუსირებულია გამოყენებითი კერამიკის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდის უნარების დაუფლებაზე, როგორც ცალკეულ საამქროებში, ასევე სამრეწველო სერიული დიზაინის შექმნისას.

2. მეორე ფაზაში აქცენტი კეთდება დეკორატიულ ფართომასშტაბიან კერამიკაზე, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ გარემოსთან და სივრცესთან და ხშირად სიმბიოზურ კავშირშია არქიტექტურასთან.

3. დასკვნითი ეტაპი მიზნად ისახავს საგამოფენო კერამიკას, წაახალისებს ინდივიდუალურ მხატვრულ გამოხატვას და კერამიკის პოზიციონირებას, როგორც სახვითი ხელოვნების ფორმას, რომელიც ემსახურება როგორც თვითგამოხატვის საშუალებას, ასევე ფართო მხატვრულ დისკურსში ჩართვის შესაძლებლობას.

სტუდენტების კონცეპტუალური გაგების, დამოუკიდებელი აზროვნების, თეორიული ცნობიერების და კვლევის უნარების გასავითარებლად, სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს წერილობით კომპონენტს, რომელიც გამყარებულია აკადემიური წერით.

პროგრამის მიზნები თავსებადია თსსა–ს მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიასთან. მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია ვებ-გვერდისა და პროგრამის აღწერილობის საშუალებით. პროგრამაში ჩართული პირები აშკარად იზიარებენ პროგრამის მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელთან
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თსსა ვებგვერდი

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა კერამიკაში მიზნად ისახავს მხატვრული კერამიკის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების განათლებას, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან პრაქტიკული მხატვრული შემოქმედებითა და საფუძვლიანი ტექნოლოგიური კვლევის უნარებით, რაც მოიცავს როგორც კერამიკულ ხელოვნებას, ასევე ინტერდისციპლინურ სფეროებს. სტუდენტები იძენენ ყოვლისმომცველ ცოდნას ამ სფეროში მიმდინარე კვლევების შესახებ, რაც მათ საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ და განავითარონ შემოქმედებითი იდეები მხატვრულ კერამიკასა და მის ქვედარგებში. ისინი ფლობენ ამ ცნებების პრაქტიკაში გადატანის უნარს მეთოდური განხორციელების ციკლების მეშვეობით.

გარდა ამისა, კურსდამთავრებულები ავლენენ თავიანთი ნამუშევარის ეფექტურად მიწოდების უნარს სხვადასხვა აუდიტორიაში, მათ შორის უცხო ენებზე, პროფესიული პრეზენტაციების სახით სხვადასხვა საშუალების გამოყენებით, როგორიცაა ვიდეო, ფოტოგრაფია, ფილმი და გამოფენები. ისინი ოსტატურად მონაწილეობენ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და თეორიულ სემინარებში, ეფექტურად ავრცელებენ ცოდნას და ხელს უწყობენ კერამიკის სხვადასხვა სფეროს პოპულარიზაციას, მაგ. შავი კერამიკის ტრადიციას საქართველოში.

გარდა ამისა, კურსდამთავრებულები აჩვენებენ ღრმა და სისტემატურ გაგებას მხატვრული კერამიკისა და მისი ქვედარგების, მათ შორის სამრეწველო მიმართულებების, დიზაინისა და უნიკალური საგამოფენო პრაქტიკის შესახებ. ისინი გამოირჩევიან ინტერდისციპლინარული

სინთეზის განხორციელებით კერამიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროებში, როგორიცაა არქიტექტურა და ქანდაკება.

გარდა ამისა, კურსდამთავრებულები ფლობენ ყოვლისმომცველ ცოდნას თანამედროვე სამეცნიერო კვლევის სფეროში, რომელიც მოიცავს ესთეტიკას, ტექნიკას და შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მათ გამოცდილებასა და ცოდნას მხატვრული კერამიკის სფეროში.

ეს სწავლის შედეგები მკაფიოდ და ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული სასწავლო გეგმაში და თანამედროვე ხელოვნებისა და ხელოსნობის განახლებული პროგრამის შესატყვისია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან
- სილაბუსები
- სასწავლო გეგმის შედეგები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსსა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს პროგრამის

სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს და დარგის სპეციფიკას.

შეფასების უშუალო მეთოდებად გამოიყენება სასწავლო კურსების შეფასება სილაბუსების მიხედვით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაციას და ა.შ. შესაბამისად, უზრუნველყოფილია გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმებისთვის, თსსა იყენებს სტანდარტულ განაწილებას, როგორც ბენჩმარკინგის ინსტრუმენტს. სტუდენტების მცირე ჯგუფები (პროგრამის წლიური მიღება დაგეგმილია 4 სტუდენტზე) პოტენციურად გაურთულებს დაწესებულებას სტანდარტული განაწილების გამოყენებას ბენჩმარკინგისთვის, შესაბამისად, სასურველია გადაიხედოს მეთოდოლოგია. ვინაიდან პროგრამა ახალია, შეფასების შედეგები არ არსებობს, თუმცა მეთოდოლოგია ითვალისწინებს შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რამდენიმე ფაზა არსებობს, დაწყებული ინფორმაციის შეგროვებიდან, დამთავრებული ფინალური ეტაპით, რაც გულისხმობს შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის, პროცესის, სტუდენტთა მიღწევების გასაუმჯობესებლად და ა.შ.

პროგრამაში ჩართულ პერსონალს ეხმარებიან სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მხარს უჭერს პერსონალს ცოდნისა და უნარების ამაღლებაში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის რუკები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

- შეიმუშავეთ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ისეთი სამიზნე ნიშნულები და მეთოდები, რომლებიც უფრო მეტად შესაფერისი იქნება მცირე ჯგუფებისთვის.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	X	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვისას, პროგრამის აღწერით ნაწილში დამოწმებული დოკუმენტები (მათ შორის, „აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესები“, დამტკიცებული ქ. ქ.თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აკადემიური საბჭო, N43, 17.03.2022წ. ოქმით და თვითშეფასების ჯგუფების შეხვედრების ოქმებით), ჩანს, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა ლოგიკური და თანმიმდევრული პროცესი სასწავლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად. აღწერილი სამუშაო პროცესი მოიცავდა ოთხ ძირითად ეტაპს: მოსამზადებელი ეტაპი, შიდა და გარე მონაცემების ანალიზი, პროგრამის განვითარების გეგმისა და საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნა და განხორციელების პროცესის შეფასება.

მოსამზადებელ ეტაპზე განხორციელდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი და მობილიზებული იქნა საჭირო ინფორმაცია და რესურსები. სპეციალურად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა გააანალიზა პროგრამასთან დაკავშირებული შიდა და გარე მონაცემები. ჩაატარა SWOT ანალიზი, შეიმუშავა პროგრამის განვითარების გეგმა და უზრუნველყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, ამიტომ ბოლო ეტაპზე სასწავლო პროცესის სრული შეფასება არ მომხდარა.

პროგრამის სტრუქტურა (რომელიც მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს)

შექმნილია სტუდენტების მრავალფეროვანი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამის შინაარსი საგულდაგულოდ არის შემუშავებული, რომ გათვალისწინებული იქნას ჩარიცხული სტუდენტების კომპეტენციები და უზრუნველყოს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა. პროგრამის სტრუქტურა მიჰყვება ლოგიკურ თანმიმდევრობას, პრაქტიკული და თეორიული კომპონენტების თანმიმდევრული ინტეგრაციით. პროგრამის დასკვნითი ეტაპი შეიცავს სამაგისტრო ნაშრომს, როგორც მიღებული ცოდნისა და კომპეტენციების კვინტესენციას. სამაგისტრო პროგრამა - კერამიკული ხელოვნება კარგად არის სტრუქტურირებული, შეესაბამება სამხატვრო აკადემიის სტანდარტებს და სტუდენტებს აძლევს აკადემიური და პროფესიული ზრდისთვის მყარ საფუძველს.

პროგრამა შედგება სხვადასხვა დარგობრივი ხასიათის კომპონენტებისგან, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს და მათი სწავლების ქრონოლოგია აგებულია პრინციპით „მარტივიდან რთულამდე“. პროგრამა იწყება გამოყენებითი, დიზაინის მსგავსი პროდუქტების შექმნის მეთოდოლოგიით, სერიული და რთული მახასიათებლების მქონე ამოცანებით. ეს გამოიხატება, ერთი მხრივ, საკუთარ სახელოსნოში გამოყენებითი კერამიკის წარმოების ძირითადი მეთოდების ცოდნასა და უნარებში, ასევე სამრეწველო სერიული დიზაინის წარმოებაში (სასწავლო კურსი: ინდივიდუალური და სამრეწველო სერიული მხატვრული კერამიკა; პრაქტიკული კურსი სერიული მხატვრული კერამიკის რეპროდუქციაში). პროგრამის მე-2 საფეხურია დეკორატიული ფართომასშტაბიანი კერამიკის შექმნის მეთოდოლოგიის შესწავლა, რომელიც მეტწილად გაზიარებულია გარემოსა და სივრცის თვალსაზრისით და სინთეზურ კავშირშია არქიტექტურასთან. არქიტექტურასთან ზოგადი სინთეზი ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა სპეციფიურ მიმართულებებში: გარე-ექსტერიერი, შიდა-ინტერიერი, ლანდშაფტური ბუნება (ბაღი-პარკი). (საგნები: არქიტექტურისა და კერამიკის სინთეზი; არქიტექტურული მხატვრული კერამიკა; ლანდშაფტი (ბაღი-პარკი), სივრცით-მოცულობითი კერამიკა.) მე-3 ეტაპი არის ეგრეთ წოდებული ,,საგამოფენო კერამიკის სფერო", რომელიც უკიდურესად აქტუალური გახდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში და არსებითად განიხილავს კერამიკის ამ მიმართულებას, როგორც ზოგადად სახვითი ხელოვნების ნაწილს და ხელოვნის (მხატვრის) თვითგამოხატვის საშუალებას, ისევე როგორც სახვითი ხელოვნების სხვა დარგები (სასწავლო კურსი: საგამოფენო კერამიკა ინდივიდუალური ქმნილებები). თითოეულ აღნიშნულ საგანმანათლებლო კომპონენტს ახლავს შესაბამისი ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის სწავლება, რომელიც განისაზღვრება თითოეული ამოცანის ტიპოლოგიით. (სასწავლო კურსები: სერიული მხატვრული კერამიკის

ტექნოლოგია; ექსტერიერისა და ინტერიერის კერამიკის ტექნოლოგია; დეკორატიული ჭიქურების უნივერსალური პალიტრა). ამრიგად, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია: პროგრამის პრაქტიკული და თეორიული კომპონენტები (თითოეული კურსზე) ლოგიკურად არის ორგანიზებული, ხოლო მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. ასე რომ, უზრუნველყოფილია შინაარსის ლოგიკური განვითარება; პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაბიჯია შემოქმედებითი სამუშაოს წარდგენა, როგორც ვიწრო სპეციალისტებისთვის, ისე ზოგადად, კოლეგებისთვის და ფართო აუდიტორიისთვის. საგამოფენო იდეების, კონცეფციების, დაგეგმვის, გამოფენის ორგანიზების (კომპოზიცია, განათება და სხვ.), რეკლამის, ინფორმაციის გავრცელების (პოსტერი, მოსაწვევი და ა.შ.) რეალიზაციის თანამედროვე ფორმების პრაქტიკული ცოდნა. (საგნები: საავტორო საგამოფენო კერამიკის წარდგენა) დასკვნითი სემესტრი წარმოადგენს პროგრამის უმნიშვნელოვანეს ეტაპს – სადიპლომო ნაშრომს, სტუდენტის მიერ არჩეულ თავისუფალ თემაზე და წარმოადგენს მოცემული სამაგისტრო პროგრამის დასკვნით ფაზას.

პროგრამის შინაარსი, ხანგრძლივობა, მოცულობა და სირთულე შეესაბამება მაგისტრატურის დონეს;

პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი). პროგრამა ეფუძნება ECTS სისტემას, მოიცავს 120 კრედიტს და შედგება შემდეგი ბლოკებისაგან:

- სპეციალობის სასწავლო კურსები - 80 ECTS (რომელიც მოიცავს 9 სხვადასხვა სასწავლო კომპონენტს (45 ECTS), საავტორო საგამოფენო კერამიკის წარდგენა (5 ECTS) და სამაგისტრო დისერტაცია - 30 ECTS) ემსახურება კვალიფიკაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენას; სამაგისტრო ნაშრომი - მიზნად ისახავს სამაგისტრო პროგრამაში მიღებული ცოდნის შეჯამებას და შესაბამისი უნარების გამოვლენას. სამაგისტრო ნაშრომი სრულდება მე-4 სემესტრში. მე-4 სემესტრში სტუდენტების დატვირთვა მთლიანად ეძღვნება სამაგისტრო ნაშრომს.
- საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 12 ECTS (ხატვა/ზეპირი კონსტრუქციები, ფერწერა/ფერთა პალიტრა, ხატვა/სივრცობრივი);
- არჩევითი დისციპლინები – 28 ECTS, საშუალებას აძლევს სტუდენტს აირჩიოს საგანი, რომელიც დამატებითი ცოდნას შესძენს მას არა მხოლოდ კერამიკულ ხელოვნებაში, არამედ ხელოვნებასთან დაკავშირებულ სხვა დარგებში;

სამაგისტრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და კომპონენტების მოცულობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას - მოამზადოს მხატვრული კერამიკის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, შემოქმედი, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების, თანამედროვე დარგის ტექნოლოგიებისა და ასევე ზოგიერთ მომიჯნავე დარგის პროფესიონალი, რომელიც შეძლებს წარმატებით საქმიანობას მოცემულ სფეროში შეძენილი

პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენებით. ასევე, პროგრამის ტექნოლოგიური კვლევის კომპონენტიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება კერამიკული ხელოვნების ნიმუშების შექმნის პრინციპების შესწავლა; მხატვრული კერამიკის დარგში სიღრმისეული და კომპლექსური მეთოდოლოგიური, ტექნიკური/ტექნოლოგიური ცოდნის გადაცემა, რაც უზრუნველყოფს რთული შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრას.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას – ხელოვნების მაგისტრი მხატვრულ კერამიკაში და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური/კვლევითი/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ა.შ.) აქტიური ჩართულობა, რაც ადასტურებს თანამშრომლობითი პროცესის არსებობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და შეფასების წესები;
- სამუშაო ჯგუფების ოქმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- სამაგისტრო ნაშრომის დახასიათება;
- თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხემძღვანელთან/ფაკულტეტის დეკანთან გასაუბრების შედეგი;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	X	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ

კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კერამიკის სამაგისტრო პროგრამა ლოგიკურად ვითარდება, სასწავლო საგნები სტუდენტების განვითარების შესაბამისია, იწყება ბაზისური სწავლებიდან და სრულდება დამოუკიდებელი მუშაობით, ხოლო ბოლო სემესტრი მთლიანად სამაგისტრო ნაშრომს ეძღვნება. ეს პროგრესირება აისახება საკრედიტო ქულების განაწილებაში, სპეციალობის დისციპლინები თანდათან იზრდება სწავლის განმავლობაში და შეადგენს მთლიანი კრედიტების ორ მესამედს (120-დან 80).

პროგრამის ბოლო ნაწილში სპეციალობის საგნებზე აქცენტი საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ საუნივერსიტეტო კურსებიდან დაგროვილი ცოდნა და დახვეწონ თავიანთი მხატვრული შემოქმედებისა და ტექნოლოგიური კვლევის უნარები.

თუმცა, შესამჩნევია ინგლისური ენის კურსების შემოთავაზებების ნაკლებობა, რაც დაეხმარებოდა სტუდენტებს გაეუმჯობესებინათ ინგლისური ენის ცოდნის დონე. ასევე, არსებობს მხოლოდ ერთი კურსი, რომელიც უშუალოდ შესრულებასთანაა დაკავშირებული „პერფორმანსული ხელოვნება ფუტურიზმიდან დღემდე“, რომელიც გადმოსცემს თანამედროვე ხელოვნების ისტორიას.

კურიკულუმის გაფართოება თანამედროვე ხელოვნების თეორიის მეტი კურსებებით, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქანდაკება, არქიტექტურა და ფართომასშტაბიანი თანამედროვე კულტურა, საშუალებას მისცემს სტუდენტებს უკეთ მოახდინონ თავიანთი პრაქტიკის კონტექსტუალიზაცია მიმდინარე დისკურსში და ჩაერთონ თანამედროვე მხატვრული ტენდენციების უფრო ფართო სპექტრში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და

ინტერვიუს შედეგების ჩათვლით. რეკომენდაციები

- რეკომენდებულია თანამედროვე ხელოვნების უფრო ზოგადი კურსების შეთავაზება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რეკომენდებულია ინგლისური ენის სპეციალური კურსების შეთავაზება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	X	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. . სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსსა-ს განისაზღვული აქვს შესატყვისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებად. გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა და დონის შესაბამისი მოთხოვნები.

ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე „მხატვრული კერამიკა“ მიღების წინაპირობაა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვა. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ბაკალავრიატის აკადემიური ხარისხი, პორტფელიოს წარდგენა, შემოქმედებითი ტურისა და ინგლისური ენის გამოცდის (B2 დონეზე) ჩაბარება.
კრეატიული ტურის მოთხოვნა და პორტფოლიოს შეფასების სისტემა წინასწარ არის განსაზღვრული თსსა-ს მიერ. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების მიღება უზრუნველყოფილია კომისიის წესით. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე აპლიკანტების ჩარიცხვას სწავლის შედეგების მისაღწევად.

ზოგადად, ყველა აღნიშნული დაშვების წინაპირობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, განათლების დონესთან და მინიჭებულ კვალიფიკაციასთან, ასევე ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციით აღჭურვული პირების ჩართვას პროგრამაში. ზოგადად, დაშვების წინაპირობები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;
- შემოქმედებითი ტურის და პორტფოლიოს მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამის აღწერა და კურიკულუმი;
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვრული კერამიკულა“ ორიენტირებულია სტუდენტების პრაქტიკული, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. კერძოდ, სპეციალობის დისციპლინებში სტუდენტი უფრო დიდი დატვირთვით მუშაობს პრაქტიკულ ნაწილში და ყურადღება ექცევა თეორიული ცოდნის ხელოვნების დარგში გამოყენებას. ამავდროულად, პროგრამაში შემავალი არჩევითი დისციპლინების ბლოკი ხელს უწყობს ანალიტიკური და ტრანსფერული უნარების განვითარებას, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სპეციალიზებულ დისციპლინებს, სადაც სტუდენტები სწავლობენ ფორმის გადაცემის ტექნიკას და მეთოდებს.; ამავდროულად, გადიან პრაქტიკას სპეციალობის მიხედვით, რაც მათ დარგისთვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარებს ანიჭებს. სამაგისტრო პროგრამის ,,მხატვრული კერამიკა" მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მხატვრული კერამიკაში, შემოქმედი, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების, თანამედროვე დარგობრივი ტექნოლოგიებისა და, ასევე, ზოგიერთ მომიჯანვე დარგის პროფესიონალი, რომელიც შეძლებს მოცემულ სფეროში წარმატებით მუშაობას მიღებული პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გამოყენებით და განსაზღვრავს შესაბამისი სასწავლო მეთოდოლოგიას. ამის მიღწევა შესაძლებელია ძირითადი სასწავლო კურსის დაუფლებითა და კურიკულუმს გარე აქტივობებით, მათ შორის სტუდენტებისა და პროფესორების მონაწილეობით ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შემოქმედებით პროექტებში, რაც დასტურდება სასწავლო გეგმით და სტუდენტის ჩართულობით სხვადასხვა შემოქმედებით პროექტებსა თუ აქტივობებში.

სასწავლო პროცესი ეფუძნება მხატვრული კერამიკის ტექნიკისა და ტექნოლოგიური მეთოდების შესწავლას, ასევე მათ პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას. ერთის მხრივ, პროგრამა ეყრდნობა დარგის მდიდარ ეროვნულ ტრადიციებს, მეორე მხრივ კი ითვალისწინებს დარგისა და ქვედარგების უახლეს ტენდენციებს, თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების შესწავლას, ინტერდისციპლინურ, მიმდებარე დარგებთან პრაქტიკულ სინთეზს და მიზნად ისახავს დარგის მაღალი რანგის სპეციალისტის მომზადებას. კურიკულუმს გარე აქტივობა პროგრამას შესაძლებლობას აძლევს ოპტიმალურად განახორციელოს დასახული მიზანი - სტუდენტს განუვითაროს კონკრეტულ სეგმენტებზე ორიენტირებული ცოდნა და უნარები, სტუდენტის

შემოქმედებითი აზროვნების, პროფესიული, ტექნიკური, ტექნოლოგიური და მხატვრული უნარები თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანოს.

ამრიგად, სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო დონის მიხედვით, პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას და მათ ჩართვას შემოქმედებით პროექტებში;

პრაქტიკის კომპონენტისა და საშემსრულებლო პროექტის ფარგლებში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი (მათ შორის უცხოელი პროფესორი), რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას;
სამხატვრო აკადემიამ გააფორმა ხელშეკრულებები/მემორანდუმები შესაბამისი სფეროს რამდენიმე ორგანიზაციასთან და ინდივიდუალურ მეწარმეთან (მათ შორის რიგის სამხატვრო აკადემია, შპს თეთრი სტუდია), ხელმძღვანელობს სტუდენტებს სხვადასხვა ერთობლივ შემოქმედებით პროექტებში ჩართვისთვის და მხარს უჭერს პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაცია სტუდენტთა შემოქმედებით/საშემსრულებლო პროექტებში ჩართულობის შესახებ;
- თსსა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის პროექტების, გამოფენებისა და სემინარების მასალები.
- სტუდენტური გამოფენები და სხვ., განხორციელებული შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტები და ა.შ.;
- დამსაქმებლებთან, გალერეებთან და პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი	X	☐	☐	☐

/საშემსრულებ ლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასება და სწავლების დასახელებული მეთოდები:

პროგრამის ფარგლებში სწავლების ყველაზე გავრცელებული ზოგიერთი მეთოდია თეორიულ-პრაქტიკული, კომპლექსური (საგანმანათლებლო შემოქმედებითი გუნდი და ინდუსტრიული პროექტები), ინტერაქტიული სწავლება, ინდივიდუალური ან/და ჯგუფური სწავლება, საჩვენებელი მეთოდი, მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრაქტიკული მეთოდები, ლაბორატორიული მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ანალიზის მეთოდი და კვლევა. სწავლება–სწავლის მეთოდები ხორციელდება სხვადასხვა ფორმატში, როგორიცაა ლექციები, თეორიული/პრაქტიკული სესიები, ლაბორატორიული კვლევები, ინტერაქტიული სწავლება, ინდივიდუალური და/ან ჯგუფური სწავლება, საჩვენებელი მეთოდი, მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრაქტიკული მეთოდები, სინთეზის მეთოდი, ანალიზის მეთოდი, თანამშრომლობითი მეთოდი, ახსნა-განმარტების მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ასევე პრაქტიკული მეთოდები, როგორიცაა შემთხვევის შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნვნებული სწავლება (PBL), კოოპერატიული სწავლება, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიში და ა.შ.

სილაბუსებში ნახსენები სხვა მეთოდებია:

ლექცია-პრაქტიკული ფორმატის პროექტირება, ექსპოზიცია, დისკუსია, დაცვა, შემოქმედებითი ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფორმატით სტუდენტებს ახალისებენ, კომენტარი გააკეთონ კოლეგების ნამუშევრებზე, სტუდენტებისთვის ერთმანეთის სწავლების მეთოდები არ არის ცალსახად ნახსენები.

სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა მასწავლებლებთან მხარდამჭერ, მეგობრულ ურთიერთობას. გაცვლითი პროგრამა თურქეთის უნივერსიტეტთან დასახელდა როგორც პოზიტიური სასწავლო გამოცდილება. ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის საერთაშორისო ორიენტაცია ხელს შეუწყობს მსგავსი ფორმატების პროგრამების ჩამოყალიბებას.

თითოეული აკადემიური კურსის/საგნის სწავლება–სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების დონეს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ისინი უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას და მონაწილეობას სასწავლო პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია შემუშავდეს სპეციფიკური ფორმატები, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ ერთმანეთის ნამუშევრების გაანალიზებასა და კომენტირებას.
- მიზანშეწონილია შემოთავაზებული იყოს მეტი საერთაშორისო სემინარი და გაცვლის შესაძლებლობა.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასების პრაქტიკა შეესაბამება დადგენილ პროცედურებს. შეფასების პროცესი ხასიათდება გამჭვირვალობით, სანდოობით და არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობით.

"მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გამოხატავს სტუდენტების ეფექტური შეფასების პროცესებისადმი ერთგულებას, როგორც ეს აღნიშნულია თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამა ხაზს უსვამს სტუდენტების აქტიურ

მონაწილეობას, უწყვეტ შეფასებას და კრედიტების გადაცემისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) გათვალისწინებას. 100-ქულიანი შეფასების სისტემის გამოყენება საგნობრივ სილაბუსებში მოწოდებულ დეტალურ შეფასების კრიტერიუმებთან ერთად უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და სიცხადეს როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ინსტრუქტორებისთვის.

შეფასების პროცესის განმავლობაში პროგრამა ითვალისწინებს მკაფიო სახელმძღვანელოებს და პროცედურებს. "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გამოხატავს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას სტუდენტებისთვის შეფასების სისტემისა და შეფასების კომპონენტების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებით. თითოეულ დისციპლინაში აქტივობა ფასდება დადგენილი სტანდარტების მიხედვით და სტუდენტები სწავლის დაწყებამდე ეცნობიან შეფასების პროცესებსა და კრიტერიუმებს.

მხატვრულ კერამიკაში სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისთვის პროგრამა ითვალისწინებს სტრუქტურირებულ შეფასების პროცესს, მათ შორის ნაშრომის დაცვას დარგობრივი კომისიის წინაშე. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეფასების პროცესში ჩართული არიან დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების ნაშრომების მკაცრ შეფასებას.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შეფასების პრაქტიკა დასაფასებელია, დადგენილი პროცედურები ხორციელდება გამჭვირვალობის, სანდოობისა და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. შეფასებისადმი პროგრამის სტრუქტურირებული მიდგომა, აქცენტით მუდმივ გაუმჯობესებასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე ხელს უწყობს ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ სრულყოფილად დაეუფლონ მხატვრულ კერამიკას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მოქმედი ელექტრონული სისტემა
- www.art.edu.ge

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4. სტუდენტების შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვXნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის და ინტერვიუების ჩატარების შემდეგ, გარე შეფასების ჯგუფმა შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სტუდენტების საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები. თვითშეფასების ანგარიშიდან, თანდართული დოკუმენტებიდან და პროგრამის დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიიდან გამომდინარეობს, რომ გუნდი აწვდის პროგრამის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის ანალიზს სტუდენტთა კონსულტაციისა და მხარდამჭერ სერვისებთან

დაკავშირებით.

პროგრამა ავლენს ძლიერ მზაობას სტუდენტები უზრუნველყოს ხელმისაწვდომი მხარდამჭერი სერვისებით, შესთავაზოს სასწავლო პროცესების, აკადემიური მოსწრებისა და კარიერული განვითარების თაობაზე კონსულტაციები. მხარდამჭერი სერვისები ინტეგრირებულია პროგრამის სხვადასხვა ასპექტში, მათ შორის სასწავლო გეგმის აგებულებაში, კლასგარეშე აქტივობებში და სტუდენტთა ხელმძღვანელობაში. უკუკავშირის მექანიზმები, როგორიც არის სტუდენტების გამოკითხვები და რეგულარული კონსულტაციები, გამოიყენება სტუდენტების კმაყოფილების შესაფასებლად და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოსავლენად.

შეინიშნება მცდელობები ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით ინგლისურ ენაში. აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესების მიზნით შესაძლებელია ენობრივი უნარების სრულად ინტეგრირება სასწავლო გეგმაში. პროგრამის აქცენტი სახელოვნებო კვლევასა და შემოქმედებითობაზე, ასევე აკადემიური წერის უნარებისა და თეორიული გააზრების ინტეგრირება სტუდენტურ პროექტებში განსხვავებულს ხდის პროგრამას. ტექნოლოგიური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია სწავლების ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით, მიუხედავად თავდაპირველ ეტაპზე არსებული ტექნიკური პრობლემებისა, მუდმივი ძალისხმევით ფუნქციონირებისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად.

მთლიანობაში, საგანმანათლებლო პროგრამა ავლენს შესაბამისობას სტანდარტის კომპონენტთან სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერ სერვისებთან დაკავშირებით, თუმცა ვლინდება რამდენიმე გასაუმჯობესებელი სფერო, რომელიც ეხება უცხო ენის ცოდნის ინტეგრაციას და ტექნიკური სისტემის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დაწესებულების ვებგვერდი;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია ენის ცოდნის დონის ამაღება და ტექნიკური სისტემის გაუმჯობესება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	X	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესის ფარგლებში განხორციელდა ინტერვიუები მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვინაიდან ინგლისურენოვან პროგრამაზე ჯერ არ ირიცხებიან სტუდენტები, განხორციელდა მომიჯნავე პროგრამების სტუდენტების მიერ ხელმძღვანელობის და მხარდამჭერი სტრუქტურების შეფასება ზედამხედველობისა და დამხმარე სტრუქტურების პოტენციური ეფექტურობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე ჯერ არ ირიცხებიან სტუდენტები, დაინტერესებულმა მხარეებმა გამოავლინეს მზაობა უზრუნველყონ სათანადო მხარდაჭერა და "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეინარჩუნონ შესაბამისი თანაფარდობა სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის. მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებისგან შეგროვებულმა უკუკავშირმა ხაზი გაუსვა ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის თვალსაზრისით სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით პროგრამის პროაქტიულ მიდგომას. მთლიანობაში, დაინტერესებული მხარეების მონდომება ჩამოაყალიბონ მხარდამჭერი გარემო, დადებითად აისახება მომავალი სტუდენტების

წარმატებაზე "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**არ ეხება**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**არ ეხება**
თანაფარდობა	**არ ეხება**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;
- "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ; პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობასა და სამხატვრო აკადემიის შინაგანაწესს, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს პროგრამის განხორციელებისათვის და სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო უნარ-ჩვევებს; პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და სამხატვრო აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პერსონალის შერჩევის წესის თანახმად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შექმნილი/გამოქვეყნებული შემოქმედებითი და სამეცნიერო ნაშრომებით, გამოცდილებით და კომპეტენციებით, რომლებიც ასევე აღწერილია მათ რეზიუმეებსა და პირად საქმეებში და სამხატვრო აკადემიის მიერ მოწოდებულ დამატებით დოკუმენტებში (აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის შეფასების წესი, დამტკიცებულია 2018 წლის 22 მარტს N52 აკადემიური საბჭოს სხდომაზე) - სამხატვრო აკადემიის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობა; ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა - მხატვრული კერამიკა 2023 წ.

დოკუმენტაციის განხილვით (სემესტრული დატვირთვა, აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი, მუდმივი და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და თანაფარდობა და ა.შ.) და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების გზით, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის, სამეცნიერო-შემოქმედებითი აქტივობების და მათზე დაკისრებული სხვა მოვალეობების სათანადოდ განხორციელებას. ზოგადად, აკადემიური (1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი) და მოწვეული პერსონალის რაოდენობა (7 ადამიანი, მათ შორის 1 უცხოელი ხელოვანი) პერსპექტივაში ადეკვატურია სტუდენტთა რაოდენობის; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას და უძღვება დარგის წამყვან მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში და ასევე გააჩნია შესაბამისი კომპეტენციები მხატვრული კერამიკის სფეროში, ასევე მკაფიო ხედვა პროგრამის განვითარებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწოდებული პროგრამით კმაყოფილების კვლევის შედეგები და დიზაინის ფაკულტეტის მსგავსი ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტები პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევენ პერსონალს და თანამედროვე ცოდნის მიღების შესაძლებლობას.
ადგილზე ვიზიტმა გამოავლინა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადმინისტრაციული და ყველა სხვა სტრუქტურული ერთეულის მხარდაჭერით; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ შესრულებულ ფუნქციებს, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და სამუშაო აღწერილობით. თუმცა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი ინგლისური ენის მცოდნე ადმინისტრაციული პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების პოზიციას - იგეგმება უცხოენოვან პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების ადმინისტრაციული მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულის შექმნა, სადაც დასაქმებული იქნება შესაბამისი კვალიფიკაციისა და უცხო ენის კომპეტენციის მქონე პირი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	4	4	1	4
- პროფესორი	1	1	1	
- ასოცირებული პროფესორი	3	3	-	3
- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	7	7	3	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვების სქემა;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაში სამომავლოდ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასთან;
- პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საჭირო სასწავლო კომპონენტში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან;
- აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	✓	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები არიან აღიარებული, მაღალი რანგის სპეციალისტები, შემოქმედნი და პროფესორები, რომლებსაც აქვთ მრავალწლიანი სწავლების გამოცდილება მხატვრულ პროფესიულ კერამიკაში, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ (რაც ჩანს მათ პერსონალურ ინფორმაციაში). ისინი აკმაყოფილებენ უნივერსიტეტში განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც ასახულია „მხატვრული კერამიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომების კონცეფციებში. პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, ცოდნა და გამოცდილება შეესაბამება კანონმდებლობას. აღნიშნული ასევე დასტურდება მათი

სახელოვნებო და სამეცნიერო ნამუშევრებით. მათ აქვთ სწავლებისა და შემოქმედებითი მუშაობის დიდი გამოცდილება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო და თეორიულ სემინარებში, პრაქტიკულ სიმპოზიუმებში, ფესტივალებსა და გამოფენებში. კერძოდ: პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) [13]; მათ შორის ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები – 3, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები – 1, ადგილობრივი კონფერენციების მოხსენებები – 5 და საერთაშორისო კონფერენციების მოხსენებები – 4. მონაწილეობა საერთაშორისო ბიენალეებში და ხელოვნების ბაზრობებში, პერსონალური გამოფენა - 40-ზე მეტი ღონისძიება.

ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სამხატვრო აკადემიის მიერ წარდგენილ ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ჩამონათვალს, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ დაცული იყო 7 ნაშრომი და მათი ძირითადი თემები და მიმართულებები შეესაბამება ხელმძღვანელების კვალიფიკაციას და მათ. სამეცნიერო-სახელოვნებო გამოცდილებას.

ხელმძღვანელები შეირჩევიან საკვალიფიკაციო ნაშრომის სფეროსა და თემის მიხედვით, რომლის მიზანია თითოეული სტუდენტის დამთხვევა შესაბამის სფეროში პრაქტიკული გამოცდილების მქონე ხელმძღვანელთან. ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურა: სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციების მქონე აკადემიური პერსონალი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში,

დარგის მიხედვით კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში. აუცილებელი კრიტერიუმია ინგლისური ენის ცოდნა.

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეირჩევა - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის მხატვრული კერამიკის აკადემიური პერსონალიდან (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი). ხელმძღვანელი შეირჩევა მაგისტრანტის მიერ.
2. შესაძლებელია სტუდენტს ჰყავდეს თანახელმძღვანელი (ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე). თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს არააკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი. თანახელმძღვანელის არჩევა მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს, დიპლომის ხელმძღვანელის და დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**5**	**1**	**5**
- პროფესორი	**1**	**1**	**1**
- ასოცირებული პროფესორი	**3**	**-**	**3**

- ასისტენტ–პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	1	1	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების პირადი საქმეები;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია
- ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების ნუსხა;
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და არსებული, ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულებთან)
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	✓	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სამხატვრო აკადემია წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით (თბილისის სამხატვრო აკადემიაში კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 22 მარტის სხდომაზე, N52), აკადემიაში შემუშავდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები. ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს ანგარიშს პროგრამის პერსონალის შემოქმედებითი აქტივობების შესახებ. ფაკულტეტის საბჭოზე განხილული ანგარიშები წარედგინება აკადემიურ საბჭოს და იგზავნება კვლევისა და განვითარების დეპარტამენტში. ფაკულტეტის ანგარიშები უნდა შეიცავდეს შეფასების შედეგებს, რომელიც ასახავს პერსონალის შემოქმედებით საქმიანობას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული დანართის მიხედვით (დანართი N3 და დანართი N4).

ინტერვიუების დროს კითხვამ, თუ როგორ უნდა შეფასდეს პერსონალის შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობა დაბნეულობა გამოიწვია. პერსონალი აქტიურად არის ჩართული შემოქმედებით საქმიანობაში და ადმინისტრაცია მხარს უჭერს მათ განვითარებას, თუმცა პერსონალმა უნდა იცოდეს შეფასების პერიოდულობა და შეფასების შედეგები.

 უნდა აღინიშნოს, რომ შეფასების სისტემა საჭიროებს უფრო მეტ კონკრეტულობასა და პრაქტიკაში რეგულარულად დანერგვას. ზოგადად, შემოქმედებითი საქმიანობის შეფასება გაზომვადი ინდიკატორებით უაღრესად პირობითია და ყოველთვის ვერ ქმნის ობიექტურ სურათს. ამიტომ, დაწესებულებამ უნდა დახვეწოს შეფასების კრიტერიუმები და რეგულარულად ჩაატაროს პერსონალის შეფასებები.
დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აკადემიური პერსონალის ჩართვას გაცვლით პროგრამებში. პარტნიორ უცხოურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალს საშუალება აქვს გაეცნოს სწავლის/სწავლების და სამეცნიერო კვლევის საერთაშორისო პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას. დაწესებულება ხელს უწყობს თანამშრომლებს, რომ დაუკავშირდნენ სახელოვნებო პროფილის ადგილობრივ და უცხოურ დაწესებულებებს და ჩაერთონ საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში. თუმცა პროგრამის ბიუჯეტში შემოქმედებითი და სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა არ არის გათვალისწინებული. დაწესებულებაში არსებობს სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების შიდა დაფინანსების წესი. თუმცა, როგორც დოკუმენტაციის განხილვამ და ინტერვიუს შედეგებმა გვაჩვენა, დაწესებულებას არ აქვს წინასწარ განსაზღვრული ბიუჯეტი სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების დასაფინანსებლად. გარდა ამისა, პროექტების შეფასების კრიტერიუმები არ არის შემუშავებული და პროექტებს აფასებს რექტორის კომისია. უმჯობესია შეფასება მოახდინოს დარგის სპეციალისტების მიერ დამტკიცებულმა კომისიამ, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პერსონალს გაუჭირდება შემოქმედებითი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, რაც უარყოფითად აისახება პროგრამის ხარისხზე.

რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. რეკომენდებულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის ბიუჯეტში თანხების გათვალისწინება.

პრაქტიკის ობიექტებიდან და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები აჩვენებს პროგრამაზე მზარდ მოთხოვნას. დამსაქმებლები მზად არიან მიიღონ მონაწილეობა და უზრუნველყონ სტუდენტების სტაჟირება. თუმცა, წარმოდგენილ მემორანდუმში არ არის გათვალისწინებული სპეციფიკა, სტუდენტების რაოდენობასთან, სტაჟირების ხანგრძლივობასთან, განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიში;
- აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები;
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კვლევითი/შემოქმედებითი აქტივობების ხარისხის შეფასების მექანიზმი და სისტემა მხატვრული კერამიკის მიმართულებისთვის.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება, შეფასების კომისიის დაკომპლექტების პროცედურის შეცვლა და შემოქმედებითი პროექტების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება.
- რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტი მოიცავდეს თანხებს პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია შეფასების კრიტერიუმების სრულყოფა და პერსონალის შეფასებების რეგულარულად ჩატარება.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	✓	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„მხატვრული კერამიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, საგანმანათლებლო პროგრამაში ასახული სწავლის შედეგების მისაღწევად. საგანმანათლებლო პროგრამა ადეკვატურად არის მხარდაჭერილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ვიზიტის ფარგლებში მატერიალური რესურსების დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ პროგრამის სტუდენტებისთვის სახელოსნოებში არის შესაბამისი სამუშაო სივრცე, რესურსები და აღჭურვილობა. გასაუბრების დროს სტუდენტების მიერ გამოთქმული საერთო წუხილი ეხებოდა სამუშაო მასალების ნაკლებობას. ბიბლიოთეკაში, სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალა, ელექტრონული კატალოგი არ არსებობს ინგლისურ ენაზე, რაც შემაფერხებელი ფაქტორი იქნება სტუდენტებისთვის. ინფორმაცია და ციფრული რესურსები არ არის თავისუფლად ხელმისაწვდომი სტუდენტებისთვის, ვინაიდან EMS (სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა) პროგრამული უზრუნველყოფა არ არსებობს ინგლისურ ენაზე. ძირითადად საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი სახელმძღვანელოები. თბილისის სამხატვრო აკადემიის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო მასალებით და სამეცნიერო ლიტერატურით, ასევე ბიბლიოთეკის წიგნების მონაცემთა ბაზაზე წვდომით. სტუდენტებს აქვთ წვდომა თანამედროვე სამეცნიერო ჟურნალებზე, ციფრულ რესურსებზე და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე. ხელმისაწვდომი ელექტრონული ბაზების ჩამონათვალი მითითებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე. ამჟამად აკადემიას აქვს წვდომა შემდეგ მონაცემთა ბაზებზე:

- 1. Elsevier-Scopus (https://www.scopus.com/home.uri);
- 2. Elsevier - ScienceDirect (https://www.sciencedirect.com/);
- 3. საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრი (https://eric.ed.gov/;
- 4. სოციალური მეცნიერებების კვლევის ქსელი (https://www.ssrn.com/index.cfm/en/);
- 5. Bielefeld აკადემიური საძიებო სისტემა (https://www.base-search.net/);

- 6. Jstor (https://www.jstor.org/);
- 7. EIFL (https://eifl.remotexs.xyz/user/login);
- 8. JURN (http://www.jurn.org) - ხელშეკრულება გაფორმებულია JURN-თან.
- 9. აკადემიური კვლევის გაზიარების პლატფორმა ACADEMIA (https://www.academia.edu/) - ACADEMIA-მ გააფორმა ხელშეკრულება.
- 10. Perlego (www.perlego.com) - ხელშეკრულება გაფორმებულია Perlego-სთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები;
- ინტერვიუს შედეგები ბიბლიოთეკის პერსონალთან.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის ინგლისურენოვანი ვერსიის შემუშავება და შესაბამისი სასწავლო მასალის ინგლისურ ენაზე უზრუნველყოფა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტების მეტი მხარდაჭერა სამუშაო მასალების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსები	☐	✓	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

ადგილზე ვიზიტის დროს გამოიკვეთა მოწვეული აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობა საგანმანათლებლო შემოქმედებით პროცესში, ისევე როგორც მათი მნიშვნელოვანი წვლილი შემოქმედებითი საქმიანობისთვის სახსრების მოზიდვაში, ხშირად სახსრების უზრუნველსაყოფად პირადი ურთიერთობების გამოყენებით.

ინტერვიუების დროს რამდენიმე სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა დაადასტურა მათი აქტიური მონაწილეობა სემინარებსა და გამოფენებში. ანალოგიურად, ლექტორებისა და აკადემიური პერსონალის უმეტესობა ჩართულია აღნიშნულ საქმიანობებში, რაც წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარჯს.

თუმცა, მოწოდებულ ბიუჯეტის დოკუმენტში არ იყო დაკონკრეტებული საერთაშორისო ან ადგილობრივი საქმიანობის ხარჯები, რაც მოითხოვს დამატებით დეტალებს და სიზუსტეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ბიუჯეტის დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები.
- რეკომენდაციები: რეკომენდებულია ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ შემოქმედებით საქმიანობასთან, მეცნიერულ/კვლევასთან, იყოს გამოვლენილი და დოკუმენტირებული პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში.
- რეკომენდებულია, პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის ყველა წყარო, განმეორებადი თუ ერთჯერადი, მკაფიოდ იყოს გაწერილი ბიუჯეტის დოკუმენტში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.5. პროგრამის /ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☐	✓	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA ციკლს. შეფასების შედეგები წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველს, რომლებსაც განიხილავს და შეისწავლის ფაკულტეტის საბჭო და დამტკიცების შემთხვევაში ხდება სავალდებულო. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროცესებისა და პროგრამების შემუშავებაში თვალსაჩინოა ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენება დოკუმენტაციის შესწავლის (ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები და მათი გამოყენება) და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცესების დეტალები აღწერილია სტანდარტის 5.3 კომპონენტის აღწერაში. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას ასევე გათვალისწინებული აქვს მექანიზმები ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობა იყო ერთობლივი ძალისხმევა, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი შედგებოდა ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარისგან - აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტების წარმომადგენელი. ჯგუფის მუშაობას კოორდინაციას უწევდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.

"მხატვრული კერამიკის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება იყო არსებული, ქართულენოვანი პროგრამის ანალოგის შემუშავების პროცესი. პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ინტერვიუზე დამსწრე სტუდენტებიც. ერთ-

ერთმა სტუდენტმა ახსენა ქანდაკების სასწავლო კურსი, რომელიც მისი რეკომენდაციით დაემატა პროგრამას.

ინტერვიუებიდან გამომდინარე, პროგრამის პერსონალი კარგად არის ინფორმირებული როგორც პროცესებზე, ასევე პროგრამის სტრუქტურაზე და პერსონალი იზიარებს პროგრამის შესახებ საერთო ხედვას, რაც დასაფასებელია.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიამ შეიმუშავა შესაბამისი მექანიზმები და ინსტრუმენტები ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის შესაფასებლად და ხარისხის უზრუნველსაყოფად, რომელიც გამოიყენებოდა ონლაინ სწავლისა და სწავლების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გამოკითხვის შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ონლაინ/დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები და მექანიზმები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	V	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა "მხატვრული კერამიკა" არის ახალი და წარდგენილია გარე შეფასებისთვის/აკრედიტაციისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. შესაბამისად, არ არსებობს დაწესებულების მიერ შესასრულებელი წინა დასკვნები/რეკომენდაციები. პროგრამის პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ღიაა დისკუსიებისთვის, ასევე გამოხატავენ მზადყოფნას გამოიყენონ შეფასების შედეგები პროგრამის განვითარების მიზნით. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები ასევე ითვალისწინებს პროგრამის შეფასებას თანაშემფასებლის მიერ. "მხატვრული კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის წარმოდგენილია გარე შემფასებლების, პოტენციური დამსაქმებლების მიერ განხორციელებული შეფასებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- დამსაქმებლების მიერ გარე შეფასების შედეგები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	V	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის გზით. ვინაიდან პროგრამა არის ახალი, შეფასება ეფუძნება სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და ფაკულტეტზე არსებულ პრაქტიკას, ასევე პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. აკადემიამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა სტუდენტების გამოკითხვის ანალიზი და ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, დამსაქმებლების გამოკითხვა/შეფასება, პროგრამის შედარების დოკუმენტი. როგორც სტანდარტის 5.1 კომპონენტის აღწერასა და ანალიზში არის აღნიშნული, გაცემული რეკომენდაციები განიხილება და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ და ატარებს სავალდებულო ხასიათს. ასევე პერიოდულად ტარდება სტუდენტების აკადემიური მიღწევების მონიტორინგი. შედარების ანალიზი მოიცავს მხოლოდ იმ დაწესებულებების სახელწოდებებს, რომლებიც ახორციელებენ კერამიკის საგანმანათლებლო პროგრამას, დეპარტამენტების სახელწოდებებს, ასევე მათ ბმულებს.

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ინტერვიუების დროს და შედეგების მიხედვით, ვერ განხორციელდა პროგრამების დეტალური მიმოხილვა კონფიდენციალურობისა და ინტელექტუალური საკუთრების საკითხების გამო. როგორც აღინიშნა, პროგრამა შეფასდა რამდენიმე პოტენციური დამსაქმებლის მიერ, რომელთაგან ერთ-ერთი გახლავთ ქართულენოვანი პროგრამის კურსდამთავრებული. პროგრამაში დამსაქმებელთა დაინტერესება და ჩართულობა იყო მაღალი. სტუდენტების გამოკითხვა ტარდება ყოველ სემესტრში, რაც დადასტურდა როგორც გამოკითხვის შედეგებით, ასევე ინტერვიუებით. ასევე ფასდება ხელმძღვანელობის პროცესი. ფაკულტეტზე არ არის შემუშავებული კლასზე დაკვირვების პრაქტიკა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ იდეა უარყოფილი იყო პერსონალის მიერ. შესაბამისად, ფაკულტეტზე არსებული პრაქტიკის და დაწესებულებაში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შეფასების საფუძველზე, ისევე როგორც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამისათვის, რეგულარულად ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და შეფასება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და შედეგები გამოიყენება პროგრამის უწყვეტი განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- შეფასების და გამოკითხვების შედეგები;
- შედარების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	V	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	V
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - თბილისის

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: "მხატვრული

კერამიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტები	შესაბამისობა შია მოთხოვნებ თან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	X	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	X	☐	☐	☐

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა_

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების სახელი, გვარი, ხელმოწერა